პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 დეკემბერი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 294 (14898)

გულითადი მადლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უხდიან ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს, საბჭოთა კავშირის ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე მოძმე პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სოციალისტური და მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც გამოგზავნეს მოლოცვები კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა ხალხის ახალ თვალსაჩინო გამარჯვებასთან დაკავშირებით — „ლუნა-17“, ავტომატური სადგურის წარმატებით ფრენისა და მთვარეზე „ლუნოხოდ-1“ პირველი თვითმავალი აპარატის მიტანის გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სოფლის მშრომელთა სამეურნეო წელი

ბუთწლედის დამამთავრებელი წლის უკანასკნელი დღეებია. ზამთარი ძალაში შედის. მთებში ჩამოთოვა, ბარში კი სუსხი, სიცივე იკავებს ადგილს. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობაში მთელი წლის ძირითადი სამუშაოები მთავრდება. მაგრამ სოფლის მშრომელთა სამუშაოს რა გამოლევს. ახლა ჯამდება ის, თუ რას მიაღწიეს 1970 წლის განმავლობაში, როგორ მთავრდება ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელი.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, ხილის, ბოსტნეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი. ამ წარმატებებს ისინი მიუძღვნიან პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის სახელოვან 50 წლისთავს და კვლავ განაგრძობენ თავდადებულ შრომას ამ დიადი თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის.

დეკემბერი წლის მწვერვალია — ამბობს ხალხი. სწორედ ასეა. ახლა სოფლის მეურნეობის ყველა უბნის ხელმძღვანელებს, სანგარიშო დარგის მუშაკებს უკვე წინასწარ გაანგარიშებული აქვთ სამეურნეო წლის ძირითადი შედეგები. ივსება საქმიანი დავთრები, ციფრების ხვეტები, სადაც აღნიშნულია მოსავლიანობის მაჩვენებლები, ამოგება ყოველ მექანარზე, მატერიალური და შრომითი დანახარჯები, თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის მდგომარეობა, გეგმისა და ვალდებულების, სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის შესრულება, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურება! აი რას ექცევა ყურადღება.

მაგრამ ეს საკმარისი როდია. კიდევ ბევრი რამ არის მოსაფიქრებელი, გადაუდებელი. აუცილებელია მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის სანიშნეშოდ მომზადება. უწინარეს ყოვლისა, საკმაო რაოდენობით უნდა მოვიმარაგოთ დარაიონებული ჯიშის კონდიციური თესლი, დროულად დავაკომპლექტოთ მზრალად ხვნა. ზამთრის პერიოდში მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ მთელი ტექნიკა. ეს კი უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

სამეურნეო წლის შედეგების ხაქმიანი, ყოველმხრივი განხილვა ხელს შეუწყობს თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას დასახონ წარმოების შემდგომი ეფექტიანობის განუხრელი ზრდის კონკრეტული გზები, გამონახონ ახალი რეზერვები და ისინი სრულყოფილად აამოქმედონ, დაიჩქარონ იმ ამოცანათა გადაწყვეტა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმმა დასახა. ამ ამოცანათა შესრულება მოითხოვს მეურნეობათა ხელმძღვანელების, სპეციალისტების, პარტიული ორგანიზაციების, სოფლის ყველა მშრომელის კოლექტიურ მეცადინეობას, შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერებას.

სახისხარულოა, რომ წლითიწლობით იზრდება და ეკონომიურად ძლიერი ხდება კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობა, განუხრელად დიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. საკმარისია ითქვას, რომ 1969 წელს 1965 წელთან შედარებით რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საერთო პროდუქცია 368,5 მილიონი მანეთიდან 422,9 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, საერთო შემოსავალიც შესამჩნევად გადიდდა. წელს კი, წინასწარი მონაცემებით, უფრო მეტი იქნება.

მაგრამ ამ დიდ წარმატებებთან ერთად არის ჩრდილოვანი მხარეები. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები ზარალით ამთავრებენ სამეურნეო წელს. 1969 წელს კოლმეურნეობათა ნაწილმა რამდენიმე მილიონი მანეთი იზარალა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დაუშვეს დიდი დანახარჯები პროდუქციის წარმოებაში, ვერ შეასრულეს მოსავლიანობის გეგმები, ჩამორჩენილი იყო მეცხოველეობა. ასეთი ფაქტებია ახალციხის, ადიგენის, ამბროლაურის, ორჯონიკიძის, დმანისის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობამ 1969 წელს ერთ მილიონ მანეთზე მეტი ზარალი ნახა. მსგავსი მდგომარეობა იყო ნალჩიკის, ბოგდანოვკის რაიონებში. ზოგან კი სხვა სახის უკიდურესობა დაუშვეს, მაგალითად, ონჩაშირის, აბაშის, ხულოს რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოგება მიიღეს და განუყოფელ ფონდებში არც ერთი მანეთი არ გადარიცხეს.

მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებისას არ უნდა გამეორდეს შარშანდელი შეცდომები, როცა ზოგიერთ კოლმეურნეობაში ზუსტად არ იყო შედგენილი წლიური ანგარიში, დარღვევებს ჰქონდა ადგილი ინვენტარიზაციის ჩატარების საქმეში. არ უნდა დავუშვათ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დარღვევა. ზოგან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისეთ თვითნებურ განკარგულებას იძლევა, რომელსაც შეიძლება დანაშაული მოყვეს. მაგალითად, გუდაუთის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულებით კოლმეურნეობის საწყობის გამგეს მიეყიდა 1.800 ლიტრი ღვინო (ლიტრი 40 კაპიკად), ხოლო დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის კოლმეურნეობიდან ასეთივე განკარგულებით ორმა მოქალაქემ იყიდა 4.300 კილოგრამი ლობიო!

ახალი ხუთწლედის პირველ წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახოფლო-სამეურნეო წარმოების ყაირათიანად, გონივრულად გაძღოლის საქმეს. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ზარალიანმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დახსნიონ ჩამორჩენა. ეს არის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების, მათ ხელმძღვანელთა უპირველესი ამოცანა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გუშინდელი შეცდომები დღეს არ გამეორდეს, ხვალ კი სრულებით არ იყოს ასეთი შეცდომები. სერიოზულად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ზოგან ერთნაირ პირობებში მყოფ მეურნეობებს სხვადასხვა შედეგები აქვთ: **ერთი ჩამორჩება, მეორე მოწინავეა. ეს უნდა გახდეს კონკრეტული მსჯელობის საბანი.**

ამოცანა ის არის, რომ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას უნდა შეეუქმნათ მყარი მეცნიერული საფუძვლები, უკეთ გამოვიყენოთ წლების მანძილზე შეძენილი მოწინავეთა მდიდარი გამოცდილება. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ სოფლის მეურნეობის ხამმართველოებმა, მისმა სპეციალისტებმა — წარმოების ტექნოლოგებმა. ისინი ვალდებული არიან ასწავლონ მხვნელებს, ბოსტნეულის, ბოსტნეულის, ბორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება. ახალ ხუთწლედში სარწყავ ფართობებს შეემატება 70 ათასი ჰექტარი, ამოშრობილი იქნება ათეულ ათასობით ჰექტარი ფართობი, ახალ მიწებზე შეიქმნება საბჭოთა მეურნეობები.

სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქციულობა, ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარტიის მიერ აღებულმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის კურსმა სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. 1971 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება 23,9 მილიარდი მანეთი, ანუ 12,4 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წესის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც დიდმნიშვნელოვან სამოქმედო კანონს წარმოადგენს. ამ კანონით დასახულია დიდი ამოცანები წყლების რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად, მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენებისათვის. საჭიროა მოწესრიგდეს საწყლო ურთიერთობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას წყლების რაციონალური მოხმარება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის, დავიცვათ წყლები გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, მოისპოს წყლების ავნე ზემოქმედება.

საჭიროა მტკიცედ დავიცვათ წყლის კანონმდებლობის საფუძვლები და განუხრელად განვახორციელოთ მისი მოთხოვნები.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების, ყველა მშრომელის სახელისა და ღირსების საქმეა ღრმა ცოდნით, მაღალი მოთხოვნების დონეზე მოაწყონ სამეურნეო წლის შედეგების შეჯამება, სანიმუშოდ მოემზადონ **კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის, წინასწარ იზრუნონ განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავებისათვის და ყველა პირობა შექმნან ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.**



ყრილობის შესახვედრად □ შეასრულეს ხუთწლედი

მვაცხოვრებლებმ ჩვენი კორესპონდენტებმ

● **რუსთავი.** (საკ. კორ.). ამიერკავკასიის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიშენის ტრესტის კოლექტივმა ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ რიცხვებში შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხუთწლიანი გეგმა. მშენებლობის გაიაფების შედეგად მიღებულია 500 ათასი მანეთი ეკონომია.

ხუთწლედის მანძილზე ტრესტის კოლექტივმა ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა აზოტოვანი სასუქების ქარხნის მეორე რიგი, კარბამიდისა და ამიაკის წარმოება, ქარხანა „ცენტროლიტის“ პირველი რიგი, მუყაო-რუბეროიდის ქარხნის პირველი რიგი, „ხრამ-რუსთავის მეორე რიგი და 227.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ტრესტში შემავალი სამმართველოებიდან პირველობას არ თმობს „ქიმმრეწმშენის“ სამმართველო (უფროსი — საბჭოთა კავშირის გმირი გ. უკლება). მშენებელთა კოლექტივმა მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

● **ფუალტუგი.** (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა 121,2 პროცენტით შეასრულა სასაკონლო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა და 2 მილიონ 73 ათასი მანეთით გადაამეტა რეალიზაციის მოცულობის დავალებას. რენტაბელური მუშაობის გზით კომბინატმა 577 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო. კომბინატის უკლებლივ ყველა საწარმომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედი. განსაკუთრებით მაღალაყოფიერად იმრომეს ქიმიური ქარხნისა და სამკერვალო-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივებმა (დირექტორები ს. ქეთაოელაძე და გ. იოსელიანი).

კომბინატის კოლექტივი ახალ წლამდე კიდევ დამატებით გამოუშვებს 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

სუთფლეღის გვირი

ბათუმის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი თავდადებით შრომობს სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მკერავებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში თავი ისახელა მაყვალა წერეთელმა, რომელიც სამკერვალო საქმის ნამდვილი ოსტატია და რამდენიმე პროფესიას ფლობს. ბრიგადამ, რომელშიც მ. წერეთელი შრომობს, უკვე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და დიდძალი ზეგეგმითი ტანსაცმელი შეკერა.

სურათზე: მ. წერეთელი.

ფოტო ვ. დუბინინასი.

„ვენერა-7“ ავტომატურმა სადგურმა დაამთავრა ფრენა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობა

1970 წლის 15 დეკემბერს „ვენერა-7“ ავტომატურმა სადგურმა 120 დღე-ღამის ფრენის შემდეგ მიაღწია პლანეტა ვენერას.

„ვენერა-7“ ავტომატურმა საპლანეტთაშორისო სადგურმა სტარტი აიღო 1970 წლის 17 აგვისტოს. ამ პერიოდის მანძილზე სადგურმა გაიარა დაახლოებით 320 მილიონი კილომეტრი მანძილი და მასთან მოგზაურ ოდიოკავშირის 124 სიანსი, რომელთა დროს მიღებულია დიდი მოცულობის ტელემეტრიული ინფორმაცია.

12 დეკემბერს ვენერამდე 1 მილიონ 300 ათას კილომეტრ მანძილზე დაიწყო მოსამზადებელი ოპერაციები დამამთავრებელი ეტაპისათვის— პლანეტის ატმოსფეროში შესვლისათვის. ამ მიზნით დედამიწიდან კომანდირებული ბრძანებებულებით ქალაქი მოსკოვის ეფემერიდულ დროით 14 დეკემბრის ბრძანებულებით ქალაქი მოსკოვის ეფემერიდულ დროით 14 დეკემბერს 8 საათსა და 02 წუთზე მოსკოვის დროით პლანეტის ატმოსფეროში შესვლისას ორბიტული ნაკვეთური ჩამოსცილდა დასაშვებ აპარატს. დასაშვები აპარატის აერო-დინამიკური დამუხრუჭების შემდეგ, რის შედეგადაც მისი სიჩქარე წამში 250 მეტრამდე შემცირდა, ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა, გაიხსნა ანტენები და დაიწყო ინფორმაციის გადაცემა რადიოსახით.

დასაშვები აპარატიდან სიგნალებს იღებდნენ 35 წუთის მანძილზე. „ვენერა-7“ სადგურიდან მიღებულ გაზომვათა შედეგებს ამუშავებენ და სწავლობენ.

მიფრინავს „კოსმოს-387“

1970 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-387“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საყოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

„მთვარის რობოტის“ მეორე ნავიგაცია

„ლუნოხოდ-1“ „თვითმავალმა ავტომატმა წარმატებით დაიწყო „მეორე ნავიგაცია“ წვიმების ზღვაში. საკდესის კორესპონდენტმა მართვის (ავტომატიკისა და ტელემეტანიკის) პრობლემების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს გ. პ. კატისს სთხოვა განემარტა მთვარის რობოტის აქტიური მუშაობის ახალი ეტაპი.

— „ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის მოძრაობამ მკვლევრებს დაუსახა პრინციპულად ახალი შესაძლებლობანი, — თქვა მეცნიერმა. — ასეთ თვითმავალ ავტომატებს შეუძლიათ მიიღონ უნიკალური მონაცემები მთვარის გრუნტის ქიმიური შემადგენლობის, მისი სიმტკიცის, ზედაპირის სტრუქტურისა და აგებულების, ტემპერატურული ველების განაწილებას შესახებ. მის მიერ ტელეფოტომეტრიული არხებით გადმოცემული გარშემო მყოფი ადგილების ცალკეული დეტალები და მთელი პანორამები ორი მარტო წმინდა მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენენ, არამედ შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, სხვა ავტომატური აპარატების დაჯდომის ყველაზე სანტერესო ადგილების არჩევის დროს.

მოცემულ ეტაპზე ავტომატების გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე პილოტირებული ხომალდების გამოყენება, რობოტების დიდი საიმედოობა უზრუნველყოფს მათს ხანგრძლივად ყოფნას გამოსაკვლევ გარემოში—ბევრად უფრო ხანგრძლივად, ვიდრე პილოტირებული აპარატებისა. ვენერას, სატურნის, იუპიტერის კვლევისას ავტომატურ აპარატებს ჯერჯერობით კოსკურენციას ვერავინ უწევს, რადგან დროის რეალურად თვალმისწვდომი მონაკვეთის ფარგლებში ადამიანის გადაჯდომა ამ პლანეტებზე ვერ განხორციელდება.

პრინციპულად კოსმოსური საკვლევი აპარატის გაშვების მიზანია მივიღოთ მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის ინფორმაცია გამოსაკვლევი ობიექტისა თუ მოვლენის შესახებ. „ლუნოხოდ-1“, რომელმაც წარმატებით გაიარა მთვარის ღამის სიცივის გამოცდა, აღჭურვილია სხვადასხვაგვარი მეცნიერულ-კვლევითი აპარატურით, მათ შორის ოპტიკურ-ელექტრონული აპარატურით, რომელიც დედამიწის მიმღებ პუნქტებს გადასცემს უძვირფასეს მეცნიერულ ინფორმაციას. კოსმოსურ რობოტზე დადგმულია ტელევიზიონ კამერები და სატელევიზიო კამერები, რომლებიც მიმოიხილავენ მთვარის ზედაპირს.

„ლუნოხოდის“ ოპტიკურ ხელსაწყოთა შორის არის აგრეთვე სპეციალური კუთხოვანი ამრეკლავი, რომელიც დაამზადეს ფრანგმა მეცნიერებმა. მძლავრი ლაზერის მიმართული სხივის საშუალებით, რომელიც დედამიწის დედამიწის ტელესკოპის ლერძზე, სპეციალურმა მიმღებმა ელემენტმა აღნიშნა არეკლილი სიგნალები. ეს ექსპერიმენტი საშუალებას გვძლევს განვახორციელოთ მთვარის მოძრაობის თეორიის გამოკვლევა კომპლექსი.

დიდმნიშვნელოვანი ცნობებს მოაქვს რენტგენის ტელესკოპსაც, რომელიც პერიოდულად ზომავს გალაქტიკისგარეშე რენტგენული გამოსხივების ფონს. ელექტრომაგნიტური გამოსხივების საკვლევ დიაპაზონი შეიცავს საჭირო ინფორმაციას კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე მოვლენების ფიზიკური არსის შესახებ. მიმდინარეობს აგრეთვე მთვარის გრუნტის მახასიათებლების გამოკვლევა სპეციალური ტეფფარის საშუალებით, რომელიც გრუნტთან შეხებისას იწყებს ბრუნვას.

ყველა ამ საინფორმაციო სისტემამ უკვე მოგვცა დიდძალი მეცნიერული ინფორმაცია და განაგრძობს იმ კვლევის შედეგების გადმოცემას, რომელიც ბორციელდება აპარატის მუშაობის მთვარის მეორე ღღის განმავლობაში.

მომავალში თვითმავალი აპარატები შეიძლება გამოვიყენოთ შეასწავლილ პლანეტების ზედაპირზე მარამეტრების განაწილების ანალიზთან დაკავშირებული ბევრი ამოცანის გადასაწყვეტად.

ცხადია, რომ ავტომატური საკვლევი აპარატების მოქმედების შედეგად მიღებული სარგებლობა ბევრად გაიზრდება მათი მრავალგზის გამოყენების შესაძლებლობის შემთხვევაში, თქვა დასასრულ პროფესორმა გ. პ. კატისმა.

ამ მხრივ მთვარემავალმა გაამართლა თავისი დანიშნულება. მისმა სისტემებმა გაუძლეს კოსმოსურ სივრცეს და ამჟამად კარგად მუშაობენ. ამასთან სიამოდენობის გამოცდა ბრწყინვალედ გაიარა „ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის ყველა მოწყობილობამ.

„თაფლის“ საგჯოთა მეურნეოგეგი

ტაშკენტი, 16 დეკემბერი (საკდესის კორ. გ. კირხაჯი). სამი სპეციალიზებული მეფუტკრეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა უზბეკეთში. ახალ მეურნეობებს გამოუყვეს სამშენებლო ფართობები, სავარგულების ტერიტორია — მთები, ხეობები, ჭალები.

„თაფლოვანი“ კონვეიერი რესპუბლიკაში 8-9 თვეს გრძელდება წელიწადში. ამ მიზნით გამოყენებულია გვიან შემოდგომამდე აყვავილებული ბამბა, რომელსაც 1,7 მილიონი ჰექტარი ფართობი უკავია. თავის მხრივ ფუტკრები, ამტვერიანებენ რა ყვავილებს, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, აღიდებენ ბამბის პლანტაციების მოსავლიანობას 1,5-2 ცენტნერით.

უზბეკეთის მეურნეობებში 60 ათასი სკაა. მომავალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ერთიორად გადიდდეს მათი რაოდენობა. დასახულია ამოცანა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნან დიდი საფუტკრეები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის კლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში

გვირაბი თბილისის „ზღვასთან“

ლენინის ორდენოსანი თბილგვირაბმშენის კოლექტივი დედაქალაქის მეტროპოლიტენის მშენებლობასთან ერთად გრანდიოზულ სამუშაოებს ატარებს სოფლად.

თბილგვირაბმშენის სამეურნეო ერთეულებს შორის ყველაზე მეტი სამუშაო № 212 სამშენებლო სამონტაჟო მატარებლის (უფროსი გ. ჯაყელი, მთავარი ინჟინერი გ. ციმინტია) კოლექტივს აქვს. ჩვენი რესპუბლიკის მრავალ რაიონში აგებენ ისინი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს — პირუტყვის სადგომებს, საბრიგადო სახლებს, სარწყავ გვირაბებს, სასოფლო კლუბებს, გაყავთ გზები, სასმელი და ტექნიკური წყალი.

ამ დღეებში კიდევ ერთ სასიხარულო შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის სამშრომელებმა—**შეფასება „ფრიადით“ საექსპლოატაციოდ გადასცეს ჰიდროტექნიკური გვირაბის კომპლექსი თბილისის „ზღვასთან“.**

როგორც ცნობილია, „ზღვიდან“ სარწყავ წყალს იღებენ თბილისის ახლოს მდებარე საბჭოთა მეურნეობები. თბილისის „ზღვიდან“ მუხრანის ქუჩის თავში მდებარე წყალსაქაჩამდე სარწყავი წყალი მოედინებოდა ექვსკილომეტრიანი არხით. იგი საკმაოდ მოძველებული იყო და სასტამატურ შეკეთებას მოითხოვდა. ადგილი ჰქონდა ტენის დახაკარგებს. ამასთან ჭარბად გამონაყონი წყალი შედიოდა არხის ქვემოთ მცხოვრებ თბილისელთა სახლებში, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

ამჟამად ყოველგვარი უხერხულობა თავიდან იქნება აცილებული. **800 მეტრიანი ბეტონის გვირაბით წყალი ახალ აუზში ჩაეშვება, აქედან კი წყალსაჭაჩის მეშვეობით მაცოცხლებელ ტენს მიიღებენ ვარკეთილისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების ზვრები და ხეხილის ბაღები.**

გვირაბის გარდა თბილისის მხარეს გაყვანილ იქნა 60 მეტრი, ხოლო „ზღვის“ მხარეს 100 მეტრი ღია არხი. აშენებულ იქნა აგრეთვე წყლის მიმღები სათავე ნაგებობა. აქვე აიგო ბეტონის ვერტიკალური შახტი, რომელიც გათვალისწინებულია გვირაბის გასანიავებლად და სამეთვალყურეოდ. გვირაბში მოწყობილია მუდმივი განათება.

ამავე დროს გვირაბს აქვს საკომუნიკაციო დანიშნულება— მომავალში აქ მოათავსებენ მეორე მილს, რომელიც „ზღვის“ სანაპიროზე მშენებარე მიკროქალაქის კანალიზაციისათვის არის გათვალისწინებული.

უბნის უფროსს ვალერიან ჭაშაკაშვილს ვთხოვეთ დაესახელებინა მოწინავეები.

— საკმაოდ რთულ გეოლოგიურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს გვირაბმშენებლებს, — აღნიშნა მან. — თბილისის და მისი შემოგარენის წიაღი მკვრივი ქანებით არის ცნობილი. ძირითადად კლდის გაბურღვა გვიხდებოდა, მაგრამ სამუშაოებს კარგად გაართვეს თავი ი. ბორისოვის, ყ. უახვმოვის, თ. ნამაზოვის გვირაბგამყვანთა კომპლექსურო ბრიგადის წევრებმა გ. წმინდაშვილმა, ა. ბუცხრიკაძემ, ბ. ბურჯალიანმა, ჯ. არაბიძემ, ცვლის უფროსებმა ლ. კობალავამ, გ. ციხცაძემ, ბეტონის ინჟინერმა გ. მაისურაძემ, მარქშეიდერმა ზ. გარსევანიშვილმა.

ამ დღეებში მშენებლებმა ახალ ობიექტებზე გადაინაცვლეს—ხაშურის მახლობლად შეუდგებიან ორკილომეტრიანი გვირაბის გაყვანას ტაშისკარის სარწყავი სისტემისათვის.

ჰ. კობიძე.



სურათზე: **მოწინავე გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ივანე ბორისოვი (მარცხნივ), მუშები გიორგი წმინდაშვილი და ბეგლარ ბურჯალიანი.**

ფოტო ვ. გენგიურისა.

მოგითხრობთ საქართველოს

საუბარი მესამე გაშლილი სოციალიზმის

საქართველოს კომპარტია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის გრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე საქართველოს კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა ახალი ცხოვრების მშენებლობის დიად საქმეს. მას მოუხდა პარტიული, სამეურნეო, სახელმწიფოებრივი და კულტურული მშენებლობის დიდი და ძნელი ამოცანების გადაწყვეტა. მაგრამ წინსვლას, სიძნელეების გადალახვას ადგილებდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა. ლენინმა თავიდანვე საქართველოს კომუნისტებს დაუსახა ყველა იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ნათელი პროგრამა, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დაწყებას საქართველოში.

ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტებს ურჩევდა განმეორებინათ მდიდარი მხრის საწარმოო ძალები, გამოეყენებინათ თეთრი ნახშირი, დაეწყოთ ელექტროფიკაციის დიდი საშუალება, განეკეთებინათ მორწყვის სისტემა. ეს ამოცანა უშუალოდ გამომდინარეობდა ქვეყნის სასაღლო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების, სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის აშენების გეგმიდან, რომელიც ვ. ი. ლენინმა 1920 წელს საბჭოების VIII ყრილობის ტრიბუნიდან წამოაყენა.

საქართველოს კომუნისტებმა მთელ თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდეს ლენინის ეს მითითება. მათ ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიებთან მტკიცე თანამეგობრობით შექმნეს და განამტკიცეს ამიერკავკასიის ფედერაცია, ბოლომდე ამძიერკვეს ეროვნული შუღლის გამოვლინება ამიერკავკასიის ერთა შორის, გაანადგურეს მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების კონტრრევოლუციური პარტიები და განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება. ხალხთა მეგობრობის განმტკიცებამ, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ შექმნა მტკიცე საფუძველი საწარმოო ძალებისა და კულტურის განვითარებისათვის საქართველოში.

1921-1925 წლებში წარმატებით დამთავრდა რუსეთის საბჭოთა მეურნეობის აღდგენა. ამის შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტია შეუდგა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებას, ვინაიდან სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების დიადი გზა ინდუსტრიალიზაციით უნდა გაკვალულიყო. ინდუსტრიალიზაცია იყო სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამის მთავარი რგოლი, მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღები.

საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის განუყოფელი და შემადგენელი ნაწილი იყო. მთელ ქვეყანასთან ერთად პარტიის XIV ყრილობის დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომუნისტური პარტია მტკიცედ ახორციელებდა სამრეწველო მშენებლობის ამოცანებს. მაგრამ ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევასთან ერთად, ქართველ კომუნისტებს სოციალისტური მშენებლობის გეგმის განხორციელება უხდებოდათ გარეშე და შინაური რეაქციული ძალების და პარტიის შიგნით მათი აგენტურის — ტროცკისტთა, ბუხარინელთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და სოციალიზმის სხვა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში.

ამ პერიოდში ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკთან პარტიის პრინციპული უთანხმოების ძირითადი საკითხი იყო სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი. ბლოკი უარყოფდა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას სსრ კავშირში, იწინააღმდეგებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებას და აყენებდა ყოველგვარ ავანტიურისტულ ლოზუნგებს. საქართველოში ამ ბლოკის მიმდევრები იყვნენ ნაციონალ-უკლონისტები. ისინი გადაბარგდნენ ტროცკიზმში და ადგილობრივი ოპოზიციის მთავარი ძალა გახდნენ. მათ 1926 წლიდან დაიწყეს აშკარა ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

ქართველმა ოპოზიციონერებმა ანტიპარტიული ცენტრის მითითებით შექმნეს ადგილობრივი ოპოზიციური ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, მ. ოკუჯავა, ბ. კალანდაძე, პ. ზალუკაკი და სხვ. ისინი ხელმძღვანელობდნენ ფრაქციულ, არალეგალურ მუშაობას, ამრავლებდნენ და ავრცელებდნენ ფრაქციულ ლიტერატურას, რომელსაც ცენტრიდან იღებდნენ. გარდა ამისა, ისინი ქმნიდნენ არალეგალურ ტროცკისტულ ორგანიზაციებს, იწვევდნენ არალეგალურ კრებებს, ავრცელებდნენ ე. წ. „83-ის“ პლატფორმას, აგროვებდნენ თანხებს არალეგალური მუშაობისათვის, მიმართავდნენ დებოშს, პარტიული კრებების ჩაშლას და სხვ.

ოპოზიციონერებმა კავშირი დამყარეს ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების თანამოაზრეებთან ოპოზიციური ცენტრის შესაქმნელად. ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას საქართველოში არ გაჩენია ფუძე-საყრდენი მასებში. ეს იქიდანაც გამოშკარავდა, რომ საქართველოში პარტიის XV ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე წარმოებულ დისკუსიაში 1927 წელს მათ სრული დამარცხება განიცადეს. სადისკუსიო კრებებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს ხმა მისცა კომუნისტთა 97,9 პროცენტმა, ანტიპარტიული ბლოკის კონტრთეზისებს — 1,6 პროცენტმა.

1927 წლის ნოემბერში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ კომუნისტთა ლენინური ერთიანობისათვის ბრძოლის ნიშნით ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობა. მ. კახიანის მოხსენებაში და ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში მხილებულ იქნა ადგილობრივი ოპოზიციის მტრული საქმიანობა და მათი კაპიტულტური არსი. ყრილობამ ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინადადებით პარტიის რიგებიდან გარიცხა ადგილობრივი ოპოზიციონერები: კ. ცინცაძე, ს. თუმანოვი, პ. ვირაპი, გ. ლორთქიფანიძე, გ. ლაფანაშვილი, პ. გაზარიანი, რ. ჯოლამაძე, ლ. მირონაძე და დასვა საკითხი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინაშე მ. ოკუჯავას სამხარეო კომიტეტის შემადგენლობიდან და პარტიიდან გარიცხვის შესახებ. ყრილობამ კატეგორიულად განაცხადა, რომ „საქართველოს კომუნისტური პარტია (ბ), რჩება რა ლენინის ალთქმათა ერთგული, გადაჭრით და დაუნდობლად იბრძოლებს ყველა ანტილენინურ, ნეომენშევიკურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომელნიც ფრაქციულ მუშაობას აწარმოებენ და ცდილობენ პარტიის დარღვევას“.

მართლაც, საქართველოს კომუნისტებმა შეძლეს ყველა წინააღმდეგობათა დაძლევა, ბუნებრივი სიმდიდრენი — წიაღისეულნი, სწრაფ და მჩქეფარე მდინარეთა ენერგია, უდიდესი სამეურნეო შესაძლებლობანი სოციალიზმის სამსახურში ჩააყენეს.

საქართველოს მრეწველობაში 1921-1929 წლებში კაპიტალურმა დაბანდებამ 55 მილიონ მანეთს მიაღწია. მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 63 პროცენტით გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების მაჩვენებელი იყო ის, რომ 1927 წლის ივნისში მწყობრში ჩადგა „ზაჰესის“ პირველი წყება, იმავე წელს საფუძველი ჩაეყარა „რიონჰესს“, აშენდა აგრეთვე პატარა ელსადგურები აბასთუმანში, ონში, შოშვი, ჩითახში და სხვაგან. დაიწყო ბარტისა და გუმბრინის დამუშავება ქუთაისში, დიატომიტისა ახალციხეში; საფუძველი ჩაეყარა ანდეზიტის, ლითოგრაფიული ქვისა და სხვა ნიადისეულ სიმდიდრეთა ძიება-დამუშავებას. 1928 წელს გაუქმებულ იქნა საკონცესიო ხელშეკრულება ამერიკელ მრეწველ ჯარიმასთან, საბჭოთა ხელისუფლებამ თვითონ აიღო ხელში მაღრანეცის წარმოების ხელმძღვანელობა და პირველი დღიდანვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს.

ხერიოზული ყურადღება მიექცა მანქანათმშენებლობას, რეკონსტრუირებულ იქნა 26 კომბინრის სახელობის ქარხანა, დაიწყო მუშაობა თბილისის ლითონხარსტრუქციის ქარხანამ, რომელიც ელექტრომრეწველობისა და ნავთის გადამუშავებისათვის საჭირო მოწყობილობას ამზადებდა. მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების რიგში ჩადგნენ ქუთაისის მაუდის ფაბრიკა და თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა. აშენდა სამკერვალო და ავეჯის ფაბრიკები, ტყავის ქარხნები და სხვ. აშენდა ჩაის ფაბრიკები აცანაში, ბობოყათში, შრომაში, ვალში. 1927-1929 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული სექტორის მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოში 94 პროცენტამდე გაიზარდა.

პირველი ხუთწლედში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებაში. 1927-1929 წლებში ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოში გადიდდა 3,5-ჯერ. ამან საშუალება მისცა რესპუბლიკას დაწყებულიყო ხაშური-ზესტაფონის უბნის რკინიგზის ელექტრიფიცირება. ეს იყო უდიდესი გამარჯვება. მარტო პირველ ხუთწლედში საქართველოში ამუშავდა 46 ახალი ფაბრიკა და ქარხანა. შეიქმნა ახალი დარგები მრეწველობისა: ნავთობგადამამუშავებელი, ფერომენგანობის, საფეიერო, ხე-ტყის დამამუშავებელი, საკონსერვო და სხვ. მძიმე მრეწველობის საერთო პროდუქცია ხუთწლედში გაიზარდა 5,6-ჯერ, ხოლო საერთო პროდუქცია მრეწველობისა 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 10-ჯერ.

მეორე ხუთწლედში და მესამე ხუთწლედის პირველ სამ წელს საქართველოს ინდუსტრიული განვითარება წარმატებით ხორციელდებოდა. აღმოფხვრილ იქნა ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. შეიქმნა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, ქიმიური და სხვ. მწყობრში ჩადგა მსხვილი საწარმოები—რიონჰესი, თბილისის დაზგათსამშენებლო ქარხნის პირველი რიგი, ბაკარის შაქრის ქარხანა, ტყვარჩელის № 1 შახტი, თბილისის ავტომარმონტო ქარხანა, ბათუმის ჩაის მოწყობილობის ქარხანა, ინგურის ჰიდალელი კომბინატი, ზაპესის უკანასკნელი აგრეგატი, ტყვარჩელისა და თბილისის თბოელექტროსადგური, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ავჭალის შამპანური ღვინის ქარხანა, 9 ჩაის ფაბრიკა. ძირეულად იქნა რეკონსტრუირებული ქუანაბრისა და მარგანეცის მოპოვება-დამუშავება.

მეორე ხუთწლედში საქართველოში ძირითადად დამთავრდა მრეწველობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქცია. მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ 20,2-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. მრეწველობის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობაში 1937 წელს 75,2 პროცენტს მიაღწია. ასლად აშენებულ და მთლიანად ხელახლა აღჭურვილ საწარმოთა ხვედრითი წონა 1936 წელს შეადგენდა 80,7 პროცენტს.

საქართველო გადაიქცა სსრ კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. ინდუსტრიალიზაციის შედეგად საქართველოში გადიდდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და მოსამსახურეთა რიცხვი. მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა რიცხვი 1927-28 წლებთან შედარებით 1939 წელს ოთხჯერ და მეტად გაიზარდა. აღიზარდნენ მეტალურგთა, მანქანათმშენებელთა, მადნოლეთა შესანიშნავი კადრები. გაუმჯობესდა მმრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა. მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის აღმავლობა.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. 1928 წელს საქართველოს საქართველოში იყო 271 კოლმეურნეობა, რომლებიც გლეხური მოსახლეობის 0,8 პროცენტს აერთიანებდნენ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩაბმული იყო ინდივიდუალური გლეხური მოსახლეობის 32 პროცენტი. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა სუსტი და ჩამორჩენილი იყო. სკკ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1928 წლის დადგენილებაში „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“ აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში და საქართველოს კომპარტიას ამოცანად დაუსახა მიეღო „ზომები გლეხობის მეურნეობათა კოოპერაციაში ჩაბმისა და კოლექტივიზაციის ტემპის გასაძლიერებლად“.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლის საქმეში დიდი როლი ითამაშა საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობამ, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებისა და სოფლად მუშაობის შესახებ“. ყრილობამ ანალიზი გაუკეთა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, აღნიშნა ნაკლოვანებები და მათ აღმოსაფხვრელად, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის დასახა ღონისძიებები.

საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობამ მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ინდუსტრიული განვითარების საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადაყვანას მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა რელსებზე. ამ მითითებათა საფუძველზე გაიშალა სოფლად დიდი შემოქმედებითი მუშაობა.

ეს მუშაობა მიმდინარეობდა გაფფრთებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. კულაკობა ვერ ურიგდებოდა საკოლმეურნეო მშენებლობას და ყველა საშუალებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. პარტია მტკიცედ ატარებდა კულაკური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკას. ასეთ პირობებში სოფლად ზოგიერთი არამტკიცე

კარტიულ კონფერენციებზე

რეზერვები არის, როგორ ვიყენებთ?

ერც ისე დიდი ხანია, რაც ზესტაფონის რაიონის მმრომელებმა ერთსულოვნად განიხილეს პარტიისა და მთავრობის დოკუმენტი — წერილი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მომპირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ. როცა პარტიის რაიონული კომიტეტმა ამ წერილის განხილვიდან ორი თვის შემდეგ ანალიზი გაუკეთა იმ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებიც მმრომელებმა წერილის განხილვის დროს საწარმოთა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების აქტივის კრებებზე შემოიტანეს, აღმოჩნდა, რომ შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით რაიონის საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად უკვე 1 მილიონ 30 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მიიღეს. ეს ფაქტი დაასახელეს საქართველოს კპ ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის პლენუმზე გამართულ კონფერენციაზე, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პირველი მდივანი **შ. ვერულაშვილი.**

არსებული რეზერვების გამოვლენა და მათი უნარიანად გამოყენება ყოველთვის იყო და ახლაც არის ზესტაფონელი კომუნისტების მთავარი საზრუნავი. პირველად პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული კომიტეტი გეგმაზომიერად ახორციელებდნენ ღონისძიებებს სმრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ცდილობდნენ მეცნიერულ ნიადაგზე გადაეტანათ ეკონომიკის საკითხები, სრულად გამოეკვლიათ და აემოქმედებინათ საწარმოებში არსებული რეზერვები, აემაღლებინათ მიწათმოქმედების კულტურა.

შედეგიც კარგია. რაიონის 21 სამრეწველო ობიექტი ახლა წელიწადში უკვე უშვებს 115 მილიონი მანეთის პროდუქციას. 1965 წელს პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 48 მილიონ მანეთს შეადგენდა. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ფეროშენადნობთა, საქაბელის, ელექტროელემენტების ქარხნების, № 13 სამკერვალო ფაბრიკის, ღვინის ქარხნათასამმართველოს კოლექტივებმა.

წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს რაიონის მეგვანახეებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიაყიდეს 28.500 ტონა ყურძენი, გეგმა კი 23.000 ტონას ითვალისწინებდა.

ეს სიამაყით აღნიშნეს დელეგატებმა, მაგრამ კონფერენციის მუშაობის მთავარი საკითხი მაინც მომავალზე ზრუნვა, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის უახლოესი ღონისძიებების დასახვა იყო. როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა თავიანთ სიტყვებში დიდი ადგილი დუთმეს რაიონის სახალხო მეურნეობის დარგებში არსებულ ხარვეზებს, იმსჯელეს მათი აღმოფხვრის გზებზე, და სრულიად სწორად ამ ამოცანის განხორციელების მთავარ ბერკეტად პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება მიიჩნიეს.

კომუნისტების ავანგარდ ულ ი როლის გაძლიერებაში დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ მუდმივმოქმედი სემინარების პროპაგანდისტებს. მათი პირადი მაგალითი ახლა ყოველსშემძლე ბერკეტია პარტიულ მუშაობაში. მაგრამ იდეოლოგიურ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში არის ნაკლოვანებანი. მართალია, სამი წლის მანძილზე 10 ათასზე მეტი ლექციასაუბარი ჩატარდა, რომლებსაც 42 ათასი კაცი დაესწრო, მაგრამ ლექციების, საუბრების ხარისხი ზოგჯერ დაბალია, თემების შერჩევა ბევრგან არასწორად ხდება.

როგორც ითქვა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება უპირველესი ამოცანაა. ამ საქმეს პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ზრდიდა პარტიის რიგებს, ამაღლებდა მომთხოვნელობას, განამტკიცებდა პარტიულ დისციპლინას. ამასთან პარტიის რაიონული კომიტეტი წვრილმან მეურვეობას კი არ უწევდა პირველადს პარტორგანიზაციებს, არამედ ხელს უწყობდა მუშაობაში, რომ კომუნისტებს მეტი ინიციატივა გამოეჩინათ. რაიონის აქტივისათვის სისტემატურად ეწყობოდა ინფორმაციის დღეები, სათანადო ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას.

ზესტაფონის რაიონი მცირემიწიანია. ამიტომ საკვებით სწორად აღნიშნავდნენ კონფერენციის დელეგატები, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს მოსავლიანობის ზრდა ჰექტარზე. ეს ეხება როგორც მეგვანახეობას, ისე მარცვლეულ კულტურებს.

მართალია, უკანასკნელ ხანს საგრძნობლად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, შესრულდა ხორცის, რძის, მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის გეგმები, მაგრამ ნაკლი მაინც ბევრია. არადამაკმაყოფილებელია პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე, დაბალია პროდუქტიულობა, სუსტია სუქების ორგანიზაცია, ფერმებში არ ინერგება მექანიზაცია.

კონფერენციაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ რაიონის კოლმეურნეობების მექანიზატორები უჩვეულო ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას, სათანადოდ არ მარაგდებიან ისინი საჭირო იარაღ-მანქანებით. ამ საქმეში მეტი ინიციატივის გამოჩენა მართებს „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებას. „კონფერენციაზე გააკრიტიკეს ადგილობრივი მმრმელები, რომლებიც ვერ ითვისებენ ქალაქის მშენებლობისათვის გამოყოფილ თანხებს. წელს მმრმელებმა 43 ათასი მანეთიდან მხოლოდ 17 ათასი მანეთი ითვისეს. ქალაქში მესამე წელია შენდება ყვირილის მარცხენა სანაპირო, მაგრამ „ზესტაფონმშენის“ სამმართველომ მისი მშენებლობა გააჭიანურა.

საერთოდ ქალაქის კეთილმოწყობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, უნდა გაუმჯობესდეს მმრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები; განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესრიგი, აღმოიფხვრას სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები. ქალაქი იზრდება, მშენებლობის ფრონტიც გაფართოებას მოითხოვს, ამიტომ დროა ჩამოყალიბდეს სამშენებლო ტრესტი, რომელიც დაკავაფიდ ებ ა როგორც ქალაქ ზესტაფონის, ისე რაიონის სოფლების გაზრდილ სამშენებლო მოთხოვნებს.

ყველა ამ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება კამათში გამოსულმა დელეგატებმა — ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორმა **ზ. ჩხეიძემ**, ალვიერის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **შ. სილაგაძემ**, არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ქ. ზარნაძემ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. სამხარაძემ**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ს. გორდეზიანმა**, გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორმა **ნ. კვინიკაძემ**, სოფელ ტაბაკინის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა **ა. გაფრინდაშვილმა**, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა **ვ. ჯაფარიძემ**, რაიონის პროკურორმა **შ. კალმახელიძემ**, კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. კაკორაშვილმა**, ქარხანა „საქკაბელის“ პარტორგანიზაციის მდივანმა **ა. ყანჩაველმა** და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ე. ჯაფარიძემ.**

პარტიულმა კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება.

რ. ბელიძე,
პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ორმხრივი პასუხისმგებლობა

საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დროულად დადება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა

ესასრულს უახლოვდება მიმდინარე სამეურნეო წელი, რომელიც მრავალი ღირსშესანიშნავი გამარჯვებით აღინიშნა. საქართველოს სსრ სოფლის მშრომელებმა ახალ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. დიდი გადაჯარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები. მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მოსახლეობამ მოიყვანეს ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი. გადამეტებით შესრულდა ამ პროდუქტების დამზადების გეგმები, ვალდებულებები.

აჯამებენ რა მიმდინარე ხუთწლედის მუშაობის შედეგებს, სოფლის მშრომელები სახავენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების გეგმებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალი ხუთწლედის ყველა წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესაყიდვის გეგმის სწორად შედგენას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების წესით, მხოლოდ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც იდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განვითარების გეგმების საფუძველზე, ზეგეგმითი შესყიდვების გათვალისწინებით.

საკონტრაქტაციო ხელშეკრ ულ ებებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეურნეობების ვალდებულება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის შესახებ, მიწოდების რაოდენობის, ხარისხის, ვადების, წესისა და პირობების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის ადგილების ჩვენებით, დამამზადებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების ვალდებულება პროდუქციის დროულად მიღების და დადგენილი ფასებით ანაზღაურების შესახებ, პირდაპირ საბანკო დაკრედიტებზე გადაუყვანელი კოლმეურნეობებისათვის ფულადი ავანსების გაკეთების ვადებისა და რაოდენობის ჩვენებით, აგრეთვე მხარეების ურთიერთ მატერიალური პასუხისმგებლობა მათ მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაყიდვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების გასული წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების გაფორმების საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს, ბევრი დამამზადებელი ორგანიზაცია საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადებამდე არასაკმაოდ სწავლობს მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების შეაძლებლობებს, რის შედეგად არასრულად კონტრაქტდება მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების ზეგეგმითი შესყიდვები. ზოგიერთ მეურნეობაში, საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების დროს ადგილი ჰქონდა ერთი კულტურის უსაფუძვლო შეცვლას მეორით, ხოლო კონტრაქტანტები ურიგდებოდნენ მსგავს ნაკლოვანებებს.

ხელშეკრულების დადების დროს დამამზადებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები არ ამოწმებდნენ რამდენად შეესაბამებოდა მეურნეობის საწარმოო გეგმები მიყიდვის მტკიცე გეგმებს ზეგეგმითი შესყიდვების გათვალისწინებით. დაშვებული იყო დაუდეგრობა ხელშეკრულებების გაფორმებაში. არ მიუთითებდნენ ასორტიმენტს, ხარისხს, პროდუქციის მიწოდების ვადებს და ადგილებს, სრულად არ ავსებდნენ რეკვიზიტებს, არ მიუთითებდნენ დაკონტრაქტებულ ი პროდუქციის ფასებსა და ღირებულებას, არ აფორმებდნენ ხელშეკრულებას ხელმოწერითა და ბეჭდებით, ჩანაწერის გადაწერის ან შესწორების შემთხვევაში ხელშეკრულებებში არ აკეთებდნენ სათანადო შენიშვნებს. ყოველივე ეს ამცირებდა მხარეების პასუხისმგებლობას ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

წყალტუბოს რაიონის სოფლების დერჩის, მექვენის, გუმათის, ზარაფის და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულება 1970 წლის აპრილ-მაისის თვეებში დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის არაცრთი ცენტნერი ხორცის ჩაბარებას არ ითვალისწინებდა.

მერძევეობა-მეგობლტნეობის საბჭოთა. მეურნეობების ტრესტის გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულის დამზადება სახელმწიფო გეგმასთან შედარებით 232 ტონით ნაკლები დაიგეგმა, რის გამო იგი არ იქნა დაკონტრაქტებული. ასევე არ იქნა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები გაფორმებული ლაგოდეხის რაიონში 60 ტონა გერანის, 70 ტონა რეკანის და 10 ტონა ყაზანლიკის ვარდის შესყიდვაზე. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა მარნეულის, გარდაბნის, გეგეჭკორის, სიღნაღის, წალკის, წითელწყაროს და ბოლნისის რაიონებში.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და დამამზადებელი ორგანიზაციები წარმატებით ამთავრებენ 1970 წლის მოსავლის პროდუქტების დამზადებას, აბარებენ მოსამზადებელ სამუშაოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის 1971 წლის, ხოლო კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის 1971-1975 წლების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დასადებად.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამ მეტად სერიოზული სამუშაოების ჩატარებაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დამზადებათა, სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროებს, „საქკონსერვხილობსტნის“ სახელმწიფო კომიტეტს, ცეკავშირს და სხვა დამამზადებელ ორგანოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მთავრობის მიერ დანიშნულ ვადაში, 1971 წლის 1 იანვარამდე, უზრუნველყონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების ხარისხოვნად დადება კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულების გზით მოსალოდნელი სასაქონლო პროდუქციის მხოლოდ ორმხრივი და სრული აღრიცხვა მსაცემს დამამზადებელ ორგანიზაციას სამუალებას დროულად მოამზადოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტარა, ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხელშეკრულებით შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სრულად მიღება და სათანადოდ შენახვა.

თანახმად დებულებისა „სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადებისა და შესრულების წესის შესახებ“ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები 1970 წლის მოსავლის პროდუქტებზე, ბოსტნეულისათვის იყო 271 კოლმეურნეობა, რომლებიც გლეხური მოსახლეობის 0,8 პროცენტს აერთიანებდნენ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩაბმული იყო ინდივიდუალური გლეხური მოსახლეობის 32 პროცენტი. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა სუსტი და ჩამორჩენილი იყო. სკკ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1928 წლის დადგენილებაში „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“ აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში და საქართველოს კომპარტიას ამოცანად დაუსახა მიეღო „ზომები გლეხობის მეურნეობათა კოოპერაციაში

კომპარტიის ისტორიაზე

მუშაობის სათავეში

კომუნისტი მოქცა კულაკური გავლენის ქვეშ და იჩენდა მიდრეკილებას მემარჯვენე გადახრისადმი ან ეწეოდა მისდამი შემრიგებელ პოლიტიკას.

1929 წლის მეორე ნახევრიდან საკოლმეურნეო მოძრაობაში იწყება ახალი პერიოდი. გლეხობის ძირითადმა მასამ პირი იბრუნა კოლმეურნეობისაკენ და საკოლმეურნეო მოძრაობა გლეხობის ძირითადი მასების მძლავრ მოძრაობად იქცა. თუ 1929 წლის პირველი ოქტომბრისათვის საქართველოში გლეხური მოსახლეობის მხოლოდ 3,0 პროცენტი იყო კოლმეურნეობაში გაერთიანებული, 1929 წლის 1 დეკემბრისათვის ამ მაჩვენებელმა მიაღწია 6,3 პროცენტს, ე. ი. ორი თვის განმავლობაში გაიზარდა ორჯერ და კიდევ მეტად. ცალკეულ რაიონებში — ლაგოდეხში, კოლექტივიზაციის პროცენტი აღწევდა — 25, ბორჩალოში — 22 პროც. და ა. შ. ამასთან ერთად გაუმჯობესდა კოლექტიურ მეურნეობათა თვისებრივი მაჩვენებელი — კოლმეურნეობათა გასხვავება, მიწათსარგებლობის გაფართოება, საქმის გაძღოლის სისტემის გაუმჯობესება და სხვ. ამასთან საუალო გლეხობის ხვედრითი წონა საქართველოს კოლმეურნეობებში გაიზარდა 20 პროცენტამდე.

როგორც ცნობილია, საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა ქვეყნის სხვადასხვა რაიონების ეკონომიური და ეროვნული თავისებურებანი, 1930 წლის 5 იანვარს მიღო დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპებისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ". პარტია დიფერენცირებულად მიუდგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ვადების, ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრას და კოლექტივიზაციის ტემპების მიხედვით მთელი ქვეყანა დაჰყო სამ ჯგუფად. საქართველო, როგორც მარცვლეულის წარმოების არა ძირითადი რაიონი, მიეკუთვნა მესამე ჯგუფს, სადაც კოლექტივიზაციის ძირითადად დამთავრება გათვალისწინებული იყო ხუთწლედის ბოლოსათვის, ე. ი. 1933 წელს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ჩასდგომოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობას და აფრთხილებდა მათ ზემოდან საკოლმეურნეო მოძრაობის რაიმე „დეკრეტირების" წინააღმდეგ. ამასთან მოლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად აღიარებული იყო სასოფლო-სამეურნეო არტელი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, მათ შორის საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამაც, სათანადოდ ვერ შეაფასა ადგილობრივი სპეციფიკური თავისებურებანი, გამოედევნა კოლექტივიზაციის ტემპების ხელოვნურ დაჩქარებას. მათ კოლექტივიზაციის სხვა მოწინავე რაიონებზე გატოლების მიზნით კურსი აიღეს კოლექტივიზაციის უმოკლეს გადაში დამთავრებაზე. ეს კი ეწინააღმდეგებოდა პარტიის კურსს საკოლმეურნეო მშენებლობაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1930 წლის იანვარში განიხილა საკითხი „საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ საქართველოში", მაგრამ პლენუმმა პარტორგანიზაციებს მისცა არასწორი მითითება, დეკრეტის შეზღუდვისა და გამოდევნის პოლიტიკაო. ზემოაღნიშნულ სადირექტივო მითითებათა საფუძველზე საკ. კპ (ბ) ამირკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1930 წლის 6 თებერვალს მიიღო შესაბამისი დადგენილება, სადაც წინადადებას აძლევდა პარტიულ ორგანიზაციებს შეეწყვიტათ ციფრებით და კოლექტივიზაციის გაბერილი პროცენტებით გატაცების პრაქტიკა. სამწუხაროდ, სამხარეო კომიტეტის ამ დადგენილებაში არ იყო თავიანთი შეცდომების აღიარება, რის გამო მან ვერ შეძლო გარდატეხის შეტანა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების საქმეში.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 11 თებერვალს წაატარა სპეციალური თათბირი ნაციონალურ რესპუბლიკებში საკოლმეურნეო მშენებლობისა და კულაკობასთან ბრძოლის საკითხებზე, ხოლო 1930 წლის 20 თებერვალს მიიღო სპეციალური დადგენილება ამირკავკასიის, შუა აზიის ნაციონალურ რესპუბლიკებში და რსფსრ რესპუბლიკის ნაციონალურ რაიონებში საკოლმეურნეო მოძრაობის გაგარების წესის შესახებ. წინადადება მიეცათ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, შუა აზიის ბიუროს, ყაზახეთის, იაკუტიისა და ბურიატიის პარტიის სოფლის კომიტეტებს მასობრივი კოლექტივიზაციის მომზადების თვალსაზრისით დადასტურებათ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები, შექმნიკურად არ გადაეტანათ კოლექტივიზაციის მაღალი ტემპები, რასაც ადგილი ჰქონდა მარცვლეულის ძირითად რაიონებში, და მთავარი ყურადღება მიექცათ კოლექტივიზაციის მოსამზადებელი მუშაობისათვის, გაეთვალისწინებინათ თავიანთი რაიონების ეროვნული და ეკონომიური თავისებურებანი.

უდავოა, რომ ეს გარკვეული გაფრთხილებები და მითითებები იყო, და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მართლაც დაიწყეს მუშაობა ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგრამ საერთოდ საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებებით თავბრუდახვეულებმა მაინც ვერ შეძლეს არაჯანსაღი „შეჯიბრების", „ტემპების" გამოდევნების მაგნე პრაქტიკის დაძლევა.

ასეთ ვითარებაში 1930 წლის 2 მარტს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „თავბრუდახვეული წარმატებებისა". მასში დაგმობილი იყო პარტიის ხაზის გამრუდება საკოლმეურნეო მოძრაობაში და გაფრთხილება ეძლეოდა ყველას, ვინც ცდილობდა ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებით გადაეყვანა გლეხობა საკოლმეურნეო გზაზე. 1930 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს". ეს უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის სტატიები დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციებს გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომები და საკოლმეურნეო მშენებლობა დაეყენებინათ სწორ გზაზე. 1930 წლის 14 მარტს საკავშირო კპ (ბ) ც. კ-მა გამოიტანა დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის შესახებ", სადაც დაწვრილებით იყო განხილული დაშვებული შეცდომები და დასახული იყო მათი გამოსწორების ღონისძიებანი.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ სახელმძღვანელო და სადირექტივო მითითებების და დადგენილებათა საფუძველზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენებისათვის. 1930 წლის 7 მარტს საქართველოს კპ (ბ) ც.კ-ის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ხოლო 1930 წლის 8 მარტს და 13 აპრილს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში დასახულ მორიგ ამოცანებზე.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 13 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მთლიანად და სასვლებით ოსიარებს სკკპ-ს ცკ-ის ბიუროს 2 აპრილის დირექტივას — ამხ. სტალინის წერილს „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს"... და ლენინურ მაგ სახელმძღვანელოდ". საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში დაშვებული მთელი რიგი უხეში პოლიტიკური შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში და დასახა ქმედითი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. იმავე წლის მაისში საქართველოს კომპარტიის VII ყრილობამ სპეციალურად განიხილა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები, სადაც ერთხელ კიდევ იყო ხაზგასმული საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის ხაზის გამრუდება, მიუთითა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიერ დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების საქმეში გაწეულ მუშაობაზე და მიიღო დადგენილება საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ამის შემდეგ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უდიდეს მუშაობას ეწევიან საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლისა და შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) XVI ყრილობას, რომელიც 1930 წლის ივნის-ივლისში ჩატარდა და ისტორიაში შესულია, როგორც მეექვსე ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შტურმის ყრილობა.

ამ პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის, რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი ხალხის ძალღონე მიმართული იყო ისეთი ამოცანების გადაჭრისაკენ, როგორიც არის არსებულ კოლმეურნეობათა ყოველმხრივ განმტკიცება, მტს-ების ქსელის გაშლა, ღარის გლეხთა და მოჯამაგირეთა ორგანიზაციების განვითარება, საუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცება, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება და მის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია.

ამ მიზნით გატარდა შემდეგი ღონისძიებები: დამუშავებულ იქნა კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და საწარმოო გეგმების ფორმები; კოლმეურნეობები გადაყვანილ იქნენ ახალ წესდებაზე; შედგენილ იქნა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების შესახებ დებულება და ინსტრუქცია; შემუშავებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტარიფი — სანიმუშო-საგანაკვეთო დებულება, ანგარიშსწორების ფორმები და წესები; დაუწესებულ იქნა შრომის აღრიცხვის წესი; დასახა ღონისძიებები საზოგადოებრივი პირუტყვის მოვლის, საკვებით და სადგომით უზრუნველყოფის საქმეში; მოეწყო მანქანებისა და ინვენტარის სარემონტო სახელოსნები; აგროსელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა კოლმეურნეობათა აგრონომების ქსელი, კოლმეურნეობათა ჯგუფებს მიეგზარა რაიონის აგრონომები და აგრონომიოსები; საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად მოწყობილ იქნა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, მოანგარიშეების, აგრონომუნებულების და სხვათა მოსამზადებელი კურსები. ღონისძიებებმა გამოიწვიეს კოლმეურნეობათა განმტკიცება, შეწყდა კოლმეურნეობებიდან განთესვა, დაიწყო ახალი ნაკადის მოსვლა კოლმეურნეობებში.

1930 წლის ნოემბრისათვის უკვე კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს ყველა გლეხური მეურნეობის 20,6 პროცენტი, აქედან საუალო გლეხობა 57,6 პროცენტს შეადგენდა. ამასთან ერთად გაიზარდა კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. კოლმეურნეობებში შრომადღეების შემოღებამ, რომელთა ფუძეზე ხდება კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურება, საწარმოო ბრიგადების და სანარდო სისტემების შემოდებამ ბოლო მოუღო გათანაბრებას შრომის ანაზღაურებაში, გაიზარდა შრომის პროდუქტიულობა, შეიქმნა კოლმეურნეობათა მტკიცე მატერიალური ბაზა და განუხრელად დაიწყო კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობათა კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან გაწმენდისათვის. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს სამანქანო-სატრაქტორო საგზურების კოლიტბანყოფილებებმა. 1933 წელს საქართველოს კოლმეურნეობებიდან გაძევებულ იქნა 7 ათასამდე კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტი.

მეორე ხუთწლედში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმაფლობისა და განმტკიცების, კოლმეურნეობათა შეძლებულობის ზრდის საქმეში. თუ 1932 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობის 36,1 პროცენტი, 1937 წლისათვის ეს რიცხვი 76,5 პროცენტამდე გაიზარდა. კოლმეურნეობებს ეკავათ ყველა ნათესების 82,8 პროცენტი და ისინი წარმოადგენდნენ მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, ბამბის, ჭარხლისა და სხვ. კულტურების ძირითად მწარმოებლებს.

ამრიგად, საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს სოფლებშიც გაიმარჯვა საბოლოოდ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით სოციალისტური მეურნეობის სისტემა სოფლის მეურნეობის წარმოების ერთადერთი გაბატონებული ფორმა გახდა. კოლექტივიზაციის გამარჯვებამ გლეხობას დაუსახა შეძლებული, კულტურული, ბედნიერი ცხოვრების გზა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დამთავრებამ გადაწყვიტა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის უძნელესი ისტორიული ამოცანა. სოფლის მეურნეობამ მრეწველობასთან ერთად, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე იწყო განვითარება.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ უზრუნველყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღების, ბაღების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა ფართო ქსელი. უდიდესი წარმატება იქნა მოპოვებული კულტურის დარგში. განხორციელდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. საქართველო წარადგითხვის სრული მეოდნეობის ქვეყნად იქცა. ყოველმხრივ განვითარდა და აყვავდა საქართველოს ფორმიდ ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. აღიზარდნენ მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების შესანიშნავი კადრები.

სოციალისტურ მშენებლობაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველო 1935 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

სოციალიზმის გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ქვეყნის მთელი სახე, ეკონომიკა და კულტურა, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. სამუდამოდ ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები. 1937 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელშაც კანონმდებლობით განამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელთა ისტორიული მონაპოვარი, საქართველოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მათი გმირული ბრძოლის შედეგი.

პროფესორი

ი. მირცხულავა,

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ლიმა

ამონოლიეგის წინააღმდეგ

ლიმა. 16 დეკემბერი. (საკდესი). **პერუს დედაქალაქში გაიხსნა მესამე თათბირი ანდის ჯგუფის ქვეყნებისა, რომელშიც შედიან ბოლივია, კოლუმბია, პერუ, ჩილე და ეკვადორი.**

ლიმის თათბირის მთავარი მიზანია შეიმუშაოს ერთიანი ეკონომიური პოლიტიკა. მიმართული უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის მონოპოლიების შემოტევის წინააღმდეგ, ხელი შეუშალოს კაპიტალის გადინებას საზღვარგარეთ და ამ ქვეყნების ეკონომიკის შემდგომ დაქვემდებარებას უცხოეთის კომპანიების ინტერესებისადმი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატები, რომლის წილად მოდის თითქმის 75 პროცენტი უცხოეთის მთელი კაპიტალდაბანდებებისა ანდის ჯგუფის ქვეყნებში, ყოველნაირად ცდილობს გათიშოს ეს ეკონომიური ორგანიზაცია. იგი აწარმოებს ფარულ მოლაპარაკებას კოლუმბიისა და ეკვადორის წარმომადგენლებთან და მოითხოვს, რომ ეს ორი ქვეყანა გამოვიდეს ანდის ჯგუფიდან, მოუწოდებს შექმნან ახალი დაჯგუფება, რომელშიც კოლუმბიისა და ეკვადორის გარდა შევლენ ვენესუელა და პანამა.

ჟენევა

პოლიტიკური მკვლელობანი

ჟენევა. 16 დეკემბერი. (საკდესი). **დომინგოს რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელმა ხუან ბოშამ განაცხადა, რომ დაიკარგა ამ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლორენსო სალასარი.**

როგორც პრესა ლატინის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება სანტო დომინგოდან, **ბოშა ამტკიცებს, რომ სალასარი მოკლეს დომინგოს რევოლუციური პარტიის მეორე ხელმძღვანელთან ერთად, რომელიც ჟენევ სან-ფრანსისკოდე-მაკორის სამხედრო საპატიმროში იჯდა.**

ბოშამ აღნიშნა, რომ დომინგოს რესპუბლიკაში ასეთი დანაშაული თითქმის ყოველდღიურად ხდება.

გმობენ კოლონიალიზმს, რასიზმს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე



ნიუ-იორკი. 16 დეკემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაადასტურა „ანგოლის, მოზამბიკის, გვინეის (ბისაუს) და პორტუგალიის ბატონობაში მყოფ სხვა ტერიტორიათა ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის შეუვალი უფლება, აგრეთვე კანონიერება მათი ბრძოლისა იმისათვის, რომ მოიპოვონ ეს უფლება მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით".**

რეზოლუცია, რომელიც გუშინ მიიღო გენერალურმა ასამბლეამ გმობს პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკისა და სამხრეთ როდეზიის რასისტული უმცირესობის უკანონო რეჟიმის თანამშრომლობას, რომლის მიზანია კოლონიალიზმის და ჩაგვრის დამკვიდრება სამხრეთ აფრიკაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა მოუწოდებს პორტუგალიის მთავრობას „დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყოველგვარი რეპრესიული აქტები ანგოლის, მოზამბიკისა და გვინეის (ბისაუს) ხალხების წინააღმდეგ და გაიყვანოს მთელი სამხედრო და სხვა ძალები, რომლებსაც ამ მიზნით იყენებს".

რეზოლუციაში აისახა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეშფოთება იმის გამო, რომ რასისტულ რეჟიმებს დახმარებას უწევენ დასავლეთის სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ნატოს წევრი ქვეყნები.

ნიუ-იორკი. 16 დეკემბერი (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ მკაცრად დასჯონ სამხედრო დანაშაულენი და პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე.**

ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს განახორციელოს ღონისძიებანი სამხედრო დანაშაულეთა დაპატიმრებისა და მათი იმ ქვეყნებში გაგზავნისათვის, სადაც ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რათა ისინი სასამართლოს გადასცენ და დასაჯონ ამ ქვეყნების კანონების შესაბამისად.

ნიუ-იორკი. 16 დეკემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დიდი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ფაშისტური გერმანიის განადგურებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის 25 წლისთავის შემდეგ მსოფლიოში ჯერ კიდევ არის ნაციზმის აღორძინების საშიშროება.**

ასამბლეამ ყურადღება მიაპყრო იმ ჯგუფებისა და ორგანიზაციების საშიშ საქმიანობას, რომლებიც ნაციზმის, რასიზმისა და აპარტეიდის იდეოლოგიისა და პრაქტიკის მატარებლები არიან.

პლენარულ სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საკითხზე გადაჭრით არის დგმობილი ნაციზმი, რასიზმი, აპარტეიდი და სხვა ამგვარი იდეოლოგია და პრაქტიკა, რომლებსაც საფუძვლად უდევს ტერორი და რასობრივი შეუწყნარებლობა.

პატრიოტების დასაცავად

რომი. „არ მივცეთ საშუალება ფრანკისტულ რეჟიმს ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ვიხსნათ ბურგოსელი პატრიოტები," — გაზეთ „უნიტაში" მოთავსებული ასეთი მოწოდებით მიმართა იტალიის ანტიფაშისტურ და დემოკრატიულ ძალებს იტალიის კომპარტიის პოლიტბიურომ. იგი სოლიდარობას უცხადებს ესპანეთის მთელ ანტიფაშისტურ და დემოკრატიულ ძალებს.

ბონი. გერმანელთა კომუნისტური პარტია გადაჭრით გმობს ბურგოსის ტერორისტულ პროცესს. გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ კურტ ბახმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა აქტიური გამოსვლები ბასკთა გასამართლების წინააღმდეგ.

პარიზი. „შევაჩეროთ ჯალათების ხელი" — ასეთი ლოზუნგით მიმდინარეობს საფრანგეთში დემოკრატიული საზოგადოებრიობის მასობრივი მანიფესტაციები პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ სასამართლო პარპეს გაუსწორდეს თავისუფლებისათვის მებრძოლ ბასკებს.

ლონდონი. ესპანეთის ელჩის რეზიდენციის წინ კანბერაში გაიმართა მიტინგი ბასკი პატრიოტების დასაცავად. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი. ავსტრალიელებმა პროტესტი განაცხადეს ბურგოსის სამსჯავროს წინააღმდეგ. (საკდესი).

ლონდონი თვითნებობის აქტი

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა ხელისუფლებმა ახალი რეპრესიები დაატეხეს თავს ინდური წარმოშობის მცხოვრებლებს.**

როგორც იოჰანსბურგიდან იუწყებიან, ბევრმა ინდოელმა ოჯახმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ამ უდიდეს ქალაქში მიიღო მთავრობის „უწყება", რომ სასწრაფოდ უნდა გამოსახლდნენ იმ რაიონებიდან, სადაც ცხოვრობენ, რადგან ეს რაიონები გამოცხადებულია „მხოლოდ თეთრკანიანთა ზონად".

თუ ინდოელები უარს იტყვიან დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და ახლანდელი სამუშაო ადგილი, მათ მოელით პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმა.

ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზა

ლონდონი. 16 დეკემბერი. (საკდესი). გაისად დაიწყება ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზის მშენებლობა დიეგო-გარსიაზე, რომელიც ყველაზე დიდი კუნძულია ინგლისის ტერიტორიების შემადგენლობაში ინდოეთის ოკეანეში. ინგლისისა და ამერიკის მთავრობებმა, როგორც პრეს ასოციაციის სააგენტო იუწყება, განაცხადეს, რომ ბაზა აშენდება ორი ქვეყნის ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად. ამ შეთანხმებით, ინგლისის კუნძულებს ინდოეთის ოკეანეში ორივე მთავრობა გამოიყენებს სამხედრო მიზნებისათვის 50 წლის მანძილზე.

ვაშინგტონი. 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, ამ ბაზის მშენებლობას დაიწყებენ 1971 წლის მარტში. გათვალისწინებულია კუნძულზე ააგონ კავშირგაბმულობის კომპლექსი, ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები „ფ-110-ა" ბომბდამშენი ავიაგამანადგურებლებისათვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების სადგომები. ბაზის მშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუჯდება დაახლოებით 13 მილიონი დოლარი.

ამერიკის მხედრიონი დიდი ხანია აპირებს იმ კუნძულზე სამხედრო ბაზის შექმნას, რომელიც ინგლისს ეკუთვნის. პენტაგონის აზრით, დიეგო-გარსიაზე დასაყრდენი პუნქტის შექმნა ხელს შეუწყობს შეერთებული შტატების ფართო შეღწევას ინდოეთის ოკეანეში. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, რომ დიეგო-გარსიაზე ბაზის აგების შემდეგ ამერიკის მე-7 ფლოტი, რომელიც ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში მოქმედებს, ინდოეთის ოკეანის აუზშიც დაიწყებს ცურვას.

საჩუქარი კერძო კაპიტალს

ლონდონი. 16 დეკემბერი (საკდესი). **თემთა პალატამ, რომელსაც კონტროლს უწევენ კონსერვატორები, 40 ხმის უმრავლესობით გუშინ მოიწონა მთავრობის კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ კერძო კაპიტალს გადაეცეს ნაციონალიზებული ავიაკომპანიების ყველაზე ხელსაყრელი მარშრუტები.**

მთავრობის ამ მოქმედებამ ბევრი ლეიბორისტის — პარლამენტის წევრის მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. დეპუტატმა როინვისონმა განაცხადა: „მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი მოწმობს, რომ მზად არის ყველაფერი იღონოს კერძოსპეკულანტების, კერძოდ, უცხოელი სპეკულანტების ინტერესებისათვის".

კონსერვატორთა ზეგავლენით

დელი

დელი. 16 დეკემბერი. (საკდესი). **გუშინ ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ სპეციალური გადაწყვეტილებით გამოაცხადა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულება ყოფილი მთავრებისათვის პენსიებისა და პრივილეგიების გაუქმების შესახებ, „ეწინააღმდეგება კონსტიტუციას".**

1970 წლის ზაფხულში ინდოეთის პარლამენტის სესიაზე ინდირა განდის მთავრობამ შეიტანა კანონპროექტი ინდოეთის ყოფილი მთავრებისათვის პენსიებისა და პრივილეგიების ლიკვიდაციის შესახებ. კანონპროექტი მიიღეს ხმების დიდი უმრავლესობით პარლამენტის სახალხო პალატაში. მაგრამ, ზედა პალატაში — შტატების საბჭოში — კენჭისყრის დროს რეაქციის ძალებმა შეძლეს ჩაეფუშათ ამ კანონპროექტის მიღება. მაშინ ძალაში შევიდა ინდოეთის პრეზიდენტის ბრძანებულება.

მთავრებმა აპელაციით მიმართეს უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც კონსერვატიული წრეების ზეგავლენით „არაკონსტიტუციურად" გამოაცხადა პრეზიდენტის ბრძანებულება. ამ პირობებში მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესისა და ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების წინაშე ახალი ძალით ისმება საკითხი ი. განდის მთავრობის მიერ დასახულ რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ.

ტოკიო — მწუხარება მეშახტეთა დაბაში

ტოკიო, 16 დეკემბერი. (საკდესი). **წუხელ იაპონიის ხოკაიდოს კუნძულის ცენტრში ტოგავის შახტის მახლობლად მეშახტეთა დაბის მცხოვრებლებს არ უძინიათ. დღლით მაშველმა რაზმებმა შახტებიდან ამოიტანეს კიდევ შვიდი მეშახტის გვამი, რომლებიც გუშინ შახტში აფეთქების დროს დაიღუპნენ.**

ამრიგად, დღეისათვის ამ შახტში, რომელიც „მიცუის" კომპანიას ეკუთვნის, გაზის აფეთქებისაგან ღაღუპა 15 მეშახტე. ოთხი მეშახტის ბედი ცნობილი არ არის.

მიწისქვეშა სამუშაოთა უსაფრთხოების თვალსაზრისით ტოგავის შახტი იაპონიაში ცნობილია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო. მაგრამ ამ ბოლო დროს შახტის მფლობელებმა მოითხოვეს მნიშვნელოვნად გაეიდიდებინათ ქვანახშირის მოპოვება. წინაღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ დახურავდნენ შახტს. როგორც არარენტაბელურს, როგორც პრესა აღნიშნავს, უსაფრთხოების ღონისძიებათა უგულებელყოფა გახდა უბედურების მთავარი მიზეზი.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სტატისტიკის მონაცემებით, იაპონიის შახტებში უბედური შემთხვევების გამო დაიღუპა 140 კაცი.

ვაშინგტონი

„ოპერაცია შენიჭსი" ჩაიფუშა

ვაშინგტონი. 16 დეკემბერი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე სამხრეთ ვიეტნამში უ. კოლბი ვაშინგტონში გაფრინდა, რათა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და პენტაგონის მაღალი თანამდებობის მოღვაწეებთან ერთად განიხილოს ეგრეთ წოდებული „ფენიქსის" პროგრამის შესრულების მსვლელობა.**

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ამ „პროგრამის" მიზანი, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში ხორციელდება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით, არის „მოწინააღმდეგის სტურქტურის ნეიტრალიზაცია". პრაქტიკულად კი მისი განხორციელება ითვალისწინებს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მებრძოლებისა და პატრიოტული ძალებისადმი „თანაგრძნობაში ეჭვმიტანილ". ათასობით მშვიდობიან მცხოვრებთა ფიზიკურ მოსპობას.

როგორც აქ მიაჩნიათ, კოლბის სასწრაფო გამოძახება, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში „დაშშმინების" პროგრამების ერთ-ერთი ძირითადი „კოორდინატორია", მოწმობს „ფენიქსის" პროგრამის ჩაფუშვას, ისევე როგორც სხვა „პროგრამებისა", რომელთა მეშვეობით აგრესორები ესწრაფვიან ჩაახშონ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობა.

დაქვეითების მარწუხებში

ვაშინგტონი. 16 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის ეკონომიკა კვლავ დაქვეითების მარწუხებშია. სამრეწველო წარმოების დონე გასულ თვეში კვლავ შემცირდა 0,6 პროცენტით. განსაკუთრებით დაზარალდა ფოლადის გამოდნობა, საშენ მასალათა წარმოება.

სამრეწველო წარმოების საერთო ინდექსი 1970 წელს, 1969 წლის ივლისთან შედარებით, როცა დაიწყო ახლანდელი სამრეწველო დაქვეითება, დაეცა 7,6 პროცენტით.

ტოკიო — მწუხარება მეშახტეთა დაბაში

ტოკიო, 16 დეკემბერი. (საკდესი). **წუხელ იაპონიის ხოკაიდოს კუნძულის ცენტრში ტოგავის შახტის მახლობლად მეშახტეთა დაბის მცხოვრებლებს არ უძინიათ. დღლით მაშველმა რაზმებმა შახტებიდან ამოიტანეს კიდევ შვიდი მეშახტის გვამი, რომლებიც გუშინ შახტში აფეთქების დროს დაიღუპნენ.**

ამრიგად, დღეისათვის ამ შახტში, რომელიც „მიცუის" კომპანიას ეკუ

1 იანვარი 1971

„კომუნისტის“ მკითხველებს თქვენთან ერთად!

მეგობრებო!

ამდენიმე დღეც, და ახალი, 1971 წელი შემოაღწევს კარს. ჩვენი ხალხი, როგორც იტყვიან, კვლავ ხელსავსე ეგებება ამ ახალ წელიწადსაც.

საახალწლო საზრუნავი უკვე ყველგან იგრძნობა. ადამიანები ამ დროს ჩვეულებისამებრ აჯამებენ წლევანდელ ნაშრომ-ნაღვაწს და სამერმისო კეთილ საქმეებს სახავენ.

შესაჯამებელი კი ბევრია. 1970 წელი, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, ჩვენმა ხალხმა არაერთი შესანიშნავი წარმატებით აღნიშნა. მომავალ 1971 წელს გაიმართება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა, საბჭოთა საქართველო იზეიმებს თავისი დაბადების 50 წლისთავს. ერთი სიტყვით, ახალ წელს ახალი ფიქრები და საქმეები მოაქვს.

ჩვენ გვინდა თქვენი დახმარებითა და ხელშეწყობით ყველაფერი ეს აისახოს „კომუნისტის“ ფურცლებზე.

ახლა კი ჩვენი გაზეთის რედაქცია მოგმართავთ თქვენ, „კომუნისტის“ მკითხველებს, რომ საახალწლო ნომერი, ძვირფასო მეგობრებო, მთლიანად თქვენთან ერთად გაკეთდეს.

მოგვწერთ, რა გსურთ წაიკითხოთ ამ საახალწლო ნომერში, გამოგზავნეთ ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, ჩანახატები, ფოტოსურათები, ნახატები. რედაქცია ამ თქვენ მიერ გამოგზავნილი ნაწარმოებებიდან შეარჩევს ყველაზე საუკეთესოს, რომლებსაც საახალწლო ნომერში წაიკითხავთ.

მაშ ასე, მეგობრებო, ველით თქვენს წერილებს. ჩვენი მისამართია: თბილისი, ლენინის ქ. № 14. კონვერტს წააწერეთ „საახალწლო“.

დიდი ხელოვნების გზაზე

პრემიერა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე

ამ სპექტაკლმა ყველაზე სასიამოვნო და სადღესასწაულო შთაბეჭდილება მოახდინა. საოპერო სტუდიის აშკარა წარმატება ყველამ აღიარა. ახალგაზრდული გატაცების განწყობილებამ, რომელიც აქ მთელი საღამო სუფევდა, დაჩრდილა სპექტაკლის ზოგიერთი ნაკლი. აუდიტორიამ სპექტაკლი მიიღო და აითვისა როგორც ნათელი, ლამაზი, ღიმილით სავსე წარმოდგენა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდია უკვე დიდი ხანია ასცდა „ბატკანების ჯგუფს“. კარგია, რომ აქ აღარ ხდება საოპერო თეატრის სპექტაკლების კომპილაცია, რასაც ერთ დროს ადგილი ჰქონდა. ახლა სხვა შემსრულებლები, სხვაგვარი შესაძლებლობანი, სხვაგვარი მომართულება და პროფილი განაპირობებენ საოპერო სტუდიის შემოქმედებით სახეს.

უკანასკნელ წლებში სტუდიის რეპერტუარს შეემატა რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი, რომლებიც შეიძლება შევაჯამოთ არა მხოლოდ როგორც სახტიკით წარმოდგენები. მათი მხატვრულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა სცილდება სტუდიის დანიშნულების ფარგლებს. მათ შორის უნდა დავასახელოთ კლასიკური ნაწარმოებები გლიუკის „ორფეოსი“ და მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“.

ამჯერადაც კვლავ კლასიკას მიმართეს—იტალიური საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში დონიცეტის „სიყვარულის ნეკტარი“ წარმოადგინეს. ეს, რაღა თქმა უნდა, ჭეშმარიტი სკოლაა მომღერლისათვის, უტკნობი, უკვდავი სილამაზის სკოლა.

სტუდიის პრემიერა მომხიბლავია ლირიკული განწყობილების, სისადავის, უშუალობის ერთიანობით, მოლიანობით. დირიჟორი, მხატვარი, რეჟისორი, შემსრულებები ერთსულოვანნი არიან, ერთნაირად აზროვნებენ. ამან მიანიჭა წარმოდგენას განწყობილების სისადავე და ფორმის სისუფთავე.

წმინდა წყლის იტალიური კანტილენაა გაბატონებული ამ ოპერაში. საოცრად ლამაზი, გამომსახველი, ფართო სუნთქვის მელოდიით არის გამშეგალული „სიყვარულის ნეკტარის“ მთელი მუსიკალური ქარგა. ვოკალურობა დამახასიათებელია ოპერის მთელი საორკესტრო პარტიისთვისაც, რაც ამ უკანასკნელს ადამიანის ხმის გამომსახველობას ანიჭებს.

აქ მღერის ყოველი ტაქტი, ორკესტრის ყოველი საკრავი. შეშფოთებითი არ არის, რომ დონიცეტი ასე ხშირად იყენებს ორკესტრში სოლო საკრავების პარტიებს და მათ ტემბრალურ სიმდიდრეს. და როცა საოპერო სტუდიის სპექტაკლს ვიფასებთ, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სტუდიის ორკესტრი და მისი დირიჟორი ს. კორკოტაშვილი. მან შეკრა მთელი სპექტაკლი და მჭიდრო კონტაქტი დაამყარა მომღერალთა და ორკესტრის მუსიკოსთა შორის. ამიტომაც იტალიური ლირიკული ოპერის ეანრმა ასე შეინარჩუნა აქ თავისი სპეციფიკურობა. დირიჟორი ცდილობდა „ჩრდილში“ ყოფილიყო და წინა პლანზე ვოკალისტები წამოეწია. მან შეძლო მიეღწია ოპერის ვოკალური მხარის და ინსტრუმენტული ნაწილის ჰარმონიული ერთიანობისათვის.

მხატვარსაც, რეჟისორსაც, ხორმეისტერსაც — ყველას მომღერლებისათვის უზრუნია. მაგრამ მათ შექმნეს ახალგაზრდა მსახიობისათვის არა განყენებული ანტურაჟი, არამედ ცოცხალი, მხიარული სპექტაკლი, სადაც სუვდაც და სიხარულიც აღბეჭდილია ნათელი დიმილით, სადაც სცენური კონფლიქტები ასე გულუბრყვილოა და სადაც ყოველივე ასე ბედნიერად მთავრდება.

მხატვარმა ი. ასპურაკასმ შემოიტანა სტუდიის სცენაზე საოპერო მხატვრის დიდი ხნის გამოცდილება, მაგრამ დაუმორჩილა ის სტუდიის სპექტაკლის პროფილს. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ მან გაითვალისწინა სცენის ფარგლები და თავი აარიდა ტრადიციულ „ოპერულობას“. მან გამოავლინა ამ სპექტაკლში ახალგაზრდული სული და ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სილამაზე და უშუალობა.

დამდგმელმა მ. გაბეჩილაძემ გადაწყვიტა სპექტაკლი იმ ინტიმურ-კამერულ ასპექტში, რომელიც ასე მოესადაგა ამ ნაწარმოებს და რომელიც აღმოჩნდა აქ, შეიძლება ითქვას, ერთადერთ სწორ გასაღებად. რეჟისორმა საშუალება მისცა მომღერლებს უბრალოდ, ძალდაუტანებლად ემოქმედათ — და ამით მაქსიმუმსაც მიაღწია — ახალგაზრდების სცენური მოქმედების ბუნებრიობას.

ახალგაზრდა მომღერლები კი, აშკარად იგრძნობოდა, მღეროდნენ სიამოვნებით, განწყობილებით. დონიცეტის ულამაზესი მუსიკა იტაცებდა მათ, იგრძნობოდა, რომ ისინი თითქოს შეეთვისნენ ოპერის გულუბრყვილო, მაგრამ ესოდენ მომხიბლავ სახეებს.

ყველა მათგანი ერთნაირად თამამი როდი იყო სცენაზე, მაგრამ თვითეული ცდილობდა გამოვევლინებინა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. მათ—ი. ებრალიძემ, ვ. სოლოდკომ, მ. ადამაძემ, ე. ვეფაძემ, გ. მჭედლიშვილმა, გ. მამიაშვილმა გამოიტანეს სცენაზე არა მარტო თავისი შესაძლებლობანი, არამედ აგრეთვე თავიანთი პედაგოგების გ. ქართველიშვილის, ნ. ცერცვაძის, დ. ანდღულაძის, ბ. კრავეიშვილის, მ. გაბუნიას გამოცდილება და ოსტატობა.

კი, მაგრამ ნაკლოვანებები? — იტყვის მკითხველი. ისინი იყო სპექტაკლში, მით უფრო, რომ მისი შემსრულებლები სტუდენტები არიან. ისინი ხომ ჯერ არ გამოსულან დიდ სათეატრო სცენაზე. მაგრამ ამ სპექტაკლში სხვა რამ იყო უფრო მნიშვნელოვანი — ახალგაზრდული სული, ბატაცება, რაც დამწყებ მომღერლებს გზას გაუკაფავს დიდი ხელოვნების სამყაროში.

მირა ფიჩხაძე.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან — ხ. კორკოტაშვილი; სცენა სპექტაკლიდან.

ფოტო ა. ბაბაკასიძისა.

თეატრალური ცხოვრება

ეროვნული ბალეტი ბულგარეთიდან ეკრანებზე

ამ დღეებში გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ა. და პ. ტურენების ბიესის „**ერთადერთი მოწმის**“ პრემიერა. სპექტაკლის რეჟისორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. პაისეკი. წარმოდგენა მხატვრულად გაფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. ნალბანდიანმა.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ბურმისტროვა, თ. ბელოუსოვა და მ. პაისეკი, მსახიობები მ. იოფე, გ. პრიაჟნიკოვი და სხვები.

აკადემიური კონცერტი

ქუთაისი. (ხაკ. კორ.). **ამ დღეებში** აქ საოპერო თეატრის ფილიალში გაიმართა აკადემიური კონ ც ე რ ტ ი. მსმენელთა წინაშე წარსდგნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები ზ. ბერულავა და ლ. ასათიანი, რომლებმაც შეასრულეს საზღვარგარეთელ, რუს და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.



ჟემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის

პირველად ფორუმზე...

მშვილდოსნობამ სსრ კავშირში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ეწყობა საუწყებო და საკავშირო ჩემპიონატები, ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით ასპარეზობენ, გვყავს მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენები. მშვილდოსნობა პირველად შეიტანეს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში და სამხადისიც ყველა რესპუბლიკაში დაიწყო.

ვალში, რა თქმა უნდა, არც საქართველოს მშვილდოსნები დარჩენილან. სპორტის ეს სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში უფრო აღრე დაინერგა, მაგრამ ინტენსიური წვრთნა მას შემდეგ გაჩაღდა, რაც ქუთაისელთა გუნდს სათავეში ამ სახეობის ენთუზიასტი, სამამული ომის ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი შ. ჯაშიაშვილი ჩაუდგა. ჯაშიაშვილმა 1958 წელს თავის ირგვლივ შემოიკრიბა მშვილდოსნობით დაინტერესებული ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტები. ენთუზიასტს ქუთაისისა და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმაც მხარი დაუჭირა. წლები გადიოდა, ჯაშიაშვილის აღსაზრდელები შედეგებს თუმცა ნელა, მაგრამ მაინც აუმჯობესებდნენ და ახლა რესპუბლიკის ყველა ჩემპიონი და რეკორდსმენი ქუთაისიდან არის.

საქართველოს მშვილდოსნებმა ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადებაში წელს განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. თუ სეზონის დასაწყისში 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 12 პირველთანხრიგოსანი გვყავდა, წელს რამდენიმე მშვილდოსანმა სპორტის ოსტატობა მოიპოვა, განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ ნაკრების წევრებს ქ. ლოსბერიძეს, გ. რიეამაძეს, დ. ფაფურიძეს, გ. ფაიქოძეს, დ. ლოსბერიძეს, ლ. კურტანიძეს, ე. არველაძეს, ვ. სოსაძეს, დ. ფილიშვილს, ბ. ქორიძეს.

ქუთაისელმა მშვილდოსნებმა რესპუბლიკური ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მატჩსა და საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებში ისაპარეზეს, ბევრგან წარმატებას მიაღწიეს, საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს. მაგრამ მათთვის ყველაზე დირსსახსოვარი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშვილდოსანთა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვება იყო.

ერთი სიტყვით, მომავალ სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის იმედი ჯერჯერობით ჯაშიაშვილის აღზრდილებია. მართალია, ბოლო წლებში ამ სახეობის დანერგვა თბილისშიც დაიწყო, მაგრამ დედაქალაქის სპორტსმენებს ხელშესახები წარმატებები როდი აქვთ.

საქართველოში მშვილდოსნობის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მასობრიობას ვერ მივაღწიეთ. ეს მთავარი პრობლემაა, რომლის მიზეზიც მატერიალური ბაზის უქონლობაა. ინვენტარი არ კმარა, გვაკლია მშვრთნელთა კადრები, ჩამორჩა ამ სახეობის პროპაგანდა.

რესპუბლიკაში მშვილდოსნობის განვითარებისათვის სათანადოდ იბრძვის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლა, რომელიც ქუთაისელ სპორტსმენებს დიდ დახმარებას უწევს. სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ზრუნვა დაიწყო „დინამოს“ საბჭომაც, სექციები უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ და ბათუმის პედინსტიტუტშიც მუშაობენ, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია.

დასამალი როდია, რომ მშვილდოსნობის განვითარებისთვის სათანადოდ არ ზრუნავენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის ორგანიზაციები. აღარაფერს ვამბობთ რესპუბლიკის სხვა უფრო პატარა ორგანიზაციებზე. ბევრით ვერც თბილისის ფიზკულტურის კომიტეტი, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებისა და უწყებების უმეტესობა დაიქადნის.

წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში „დინამოსა“ და „კოლმეურნის“ გუნდების წარუმატებლობა ინვენტარის უქონლობით, არარეგულარული ვარჯიშით ახსნეს. მარეცხიდან „დინამომ“ სათანადო დასკვნები გამოიტანა. საკმარისი რაოდენობით შეიძინა ინვენტარიც, მაგრამ „დინამოს“ სხვა საზოგადოებებმა როდი მიბაძეს.

ვერც ბაზების სიუხვით დავიკადნით. იგი იოლი მოსაწყობია, მაგრამ, სამწუხაროდ, სასროლეთები ჯერჯერობით მხოლოდ ქუთაისში, თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე და ბათუმშია.

მშვილდოსნობა მეტად საინტერესო, მიმზიდველი სახეობაა. იგი ყველა ასაკს, ქალებსაც და ვაჟებსაც ემორჩილება, ამიტომ მისი განვითარებისათვის ყველამ უნდა იზრუნოს, რათა საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში, მომავალ საკავშირო ტურნირებში კარგად გამოვიდეს.

ო. ლელოშვილი.

სურათზე: „ცეცხლის“ ბაზზე.

ფოტო ბ. კამენსკისა.

ასპარეზობათა პანორამა

● **გუშინ** მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო მოსკოვის მეხუთე საერთაშორისო ტრადიციულმა ტურნირმა ფიგურულ ციგურაობაში — „მოსკოვის ციგურები“. ეს ტურნირი ყველაზე წარმომადგენლობითია — მონაწილეობენ 11 ქვეყნის საუკეთესო ფიგურისტები, რომელთა შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონები, პრაზიორები.

პირველად ყინულის მოედანზე გამოვიდნენ ერთეულთა ასპარეზობაში მონაწილე ვაჟები სავალდებულო პროგრამით. სტარტზე დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ორი ფიგურის შემდეგ ლიდერი გახდა **ს. ვოლკოვი**, რომელსაც 198 ქულა ალმოაჩნდა. ლიდერს მხოლოდ ერთი მეათედი ქულით ჩამორჩებოდა **ს. ჩეტვერუხინი**. სტუმრებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიელ **ზ. პაზდრეკს** (179,2 ქულა), რომელიც მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა.

● მუნიხენში, სადაც მოთავსებულია კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინა, გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალისტთა წილისყრა.

ამ პოპულარულ ასპარეზობაში საბჭოთა კავშირიდან გამოდიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ვაჟთა და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდები. წილისყრის შედეგად ცსკა-ს მეტოქენი მეოთხედფინალურ ქვეჯგუფში იქნებიან ესპანეთის „რეალი“, ბულგარეთის „აკადემიკი“ და ბელგიის „სტანდარტი“, ხოლო ტტტ-ის მოწინააღმდეგენი — საფრანგეთის საკლუბო გუნდი „კლერმონი“ და ჩეხოსლოვაკიის „სლავია“.

ცსკა „რეალს“ შეხვდება 14 და 21 იანვარს, „აკადემიკს“ — 28 იანვარსა და 4 თებერვალს, „სტანდარტს“ — 11 და 18 თებერვალს. ტტტ-ის გუნდის მატჩების განრიგი ასეთია: „კლერმონთან“ — 14 და 21 იანვარს, „სლავიასთან“ — 11 და 18 თებერვალს.

სპორტი

ტელევიზია

17 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი — „ჯვარა სარკეზრი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი ბავშვებისათვის — „ჩვენ და ვულკანი“, 19.20 — დოკუმენტური ფილმი — „ტაიფუნების ქვეყანაში“ ქართულ ენაზე, გამმეორებით, 20.20 — გადაცემა — „სიმონ ჯანაშია“ (დაბადების 70 წლისთავის გამო), 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „ქართული მუსიკა-50“ — გადაცემა მეორე, 22.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „ვარშავული მელოდია“ (ცენტრალური ტელევიზიის დადგმა).

18 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის „მხიარული ქალაქი“, 11.45 — მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ სრიალში (ვიდეოჩანაწერი.), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — გადაცემა ბავშვებისათვის — „64 უჯრის საიდუმლოება“, 19.00 — საქართველოში რუსული თეატრის დაარსების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია რკინიგზელის სახლიდან, 20.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — გადაცემა — „ნარიმან ნარიმანოვი“ (რუსულ ენაზე), 21.20 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „დიადი წლების ქრონიკა“ 1942 წელი, 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის გახსნის წინ, 22.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მეგობრების ხელოვნება“ (ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის ე. უზუნიანის კონცერტი)

ციკლოსტრები

17 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტოსკა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მთვარის მოტაცება; **გრიბოედოვის სახელობის** — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს (მე-3 აბონ. მე-2 წარმოდგენა); **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა ტყეში; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დივენია № 16 (საღ. 8 ს. უაბონემენტოდ); **ფილარმონიის საზამთრო** — მინიატიურების თეატრი „ენკი-ბენკი“, „მეგობრობის მატარებელი“; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — რუსუდან ხოკავას (ფორტეპიანო) კონცერტი.

შემთხვევა

სიცოცხლე გეწვზე ეკიდა...

ეს მოხდა მდინარე რიონის მთავარ, მაგისტრალურ არხზე, ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველოს მაღალი წევის ელექტროსადგურის ახლოს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიხეილ ფხაკაძეს არხის ნაპირზე ფეხი დაუცდა, ჯერ არხზე გადებულ ლეთონის მილებს დაარტყა თავი, მერე კი, თავგატეხილი და გონდაკარგული წყალში გადავარდა. დასისხლიანებული ადამიანი ტალღებმა გაიტაცეს, სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა...

საბედნიეროდ, შემთხვევის ადგილზე გაჩნდა „საქსოფლტექნიკის“ ქუთაისის № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი ამირან მოგელაძე, რომელმაც წყალწაღებული შენიშნა, მყისვე დაამუხრუჭა მანქანა და არხში გადაეშვა. ადიდებულმა წყალმა ორჯერ წაართვა მას განწირული ადამიანი, მაგრამ მძღოლი ბოლომდე მიბყვა მას, ნაპირზე ამოიყვანა და პირველი დახმარებაც აღმოუჩინა. მერე ლონეშიხდილი მ. ფხაკაძე საავადმყოფოში წაიყვანეს და კიდევაც გამოჯანმრთელეს. (საკ. კორ.).



ქალაქურთი

შეხვედრა ლიდერთან

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეს კალათბურთის დიდ-ძალი მაყურებელი ეწვია. აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ლენინგრადის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. აქამდე მეტოქეებს თითო ქულა ჰქონდათ დაკარგული — სპარტაკელები 6 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში იდგნენ, დინამოელები კი 4 ქულით ლიდერთა ჯგუფში შედიოდნენ.

ასეთი სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდს უკომპრომისო ბრძოლას უკარნახებდა. პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ დინამოელები ზედმეტად ნერვიულობდნენ და ხშირად კარგავდნენ ბურთს. მე-4 წუთისათვის წინ იყვნენ სტუმრები 10:0. ასეთმა ანგარიშმა დინამოელები, რომლებსაც აკლდათ მაღალი ტანის წამყვანი მოთამაშე ბოლქვაძე, შებოჯა და ტაიმი წაგაგეს 19:35.

მართალია, მეორე ნახევარში თბილისელები უკეთესად იბრძოდნენ, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა მაინც ვერ შეძლეს და წაგაგეს მატჩი 48:66. ყველაზე მეტი ქულა (22) სტუმრებს მოუტანა ა. ბელოვმა.

□

კიდევ ორი მატჩი

15 დეკემბერს შედგა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი კალათბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებისათვის.

სსრ კავშირის ჩემპიონს — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს შეხვედრა ჰქონდა რიგის ვეფთან და გაიმარჯვა ანგარიშით 89:71 (49:38).

ტარტუს „კალევისა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ მატჩის შედეგია 97:77 (54:45) „კალევის“ სასარგებლოდ.



პეტროსიანი, ფიშერი თუ?..

„როგორ აფასებთ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის შედეგებს? როგორ დამთავრდება, თქვენი აზრით, პრეტენდენტთა მატჩები?“ საკდესის სპორტულმა რედაქციამ სთხოვა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის სპატიო პრეზიდენტს ფოლკე რობატშს (შვეიცია), საერთაშორისო გროსმეისტერებს მიგელ ნაიდორფს (არგენტინა), მილკო ბოგიჩოვს (ბულგარეთი), ვიქტორ კორჩნოისა და ალექსანდრე კოტოვს (ორივე სსრ კავშირი) ეპასუხათ ამ კითხვებზე. აი მათი პასუხი:

ფ. რობატში: საზონათაშორისო ტურნირი გრანდიოზული და ყველაზე საინტერესო „შეჯიბრება იყო. ჯერ ერთი, მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ბევრმა გამოჩენილმა მოჭადრაკემ, მეორე, უკანასკნელ ტურამდე შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ ვინ შეგიდოდა, გარდა ფიშერისა, პრეტენდენტთა ჯგუფში.

თუ ფიშერმა ითამაშა (ვამბობ „თუს“, ვითვალისწინებ რა მის ხასიათს), იგი იქნება ერთ-ერთი ფინალისტი. მეორე ფინალისტის დასახელება მიჭირს.

მ. ნაიდორფი: ყველა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომლებშიც სპასკი და პეტროსიანი არ მონაწილეობენ, ფიშერს შეუძლია ყოველ მოთამაშეს მისცეს ფორა ორი-სანი ქულა და მაინც გამარჯვებული გამოვიდეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბალმადე მალიორკაში მოხდა მხოლოდ ის, რაც უნდა მომხდარიყო.

ბ. ბოგიჩოვი: საზონათაშორისო ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო პორტიშის მარცხი და ჰიუბნერის წარმატება.

ალექსანდრე კოტოვი: ეს ტურნირი ალბათ ბევრ პრეტენდენტებზე. ვიტყვი მხოლოდ იმ მატჩზე, რომელიც ფიშერმა გარკვეულ გარემოებაში შეიძლება ითამაშოს პეტროსიანთან. ჩემი აზრით, ფიშერი იქნება პირველი, პეტროსიანი კი მეორე. მაგრამ ცოტა ეჭვიც მეპარება, რამდენადაც ასეთ შეჯიბრებებში დიდი მნიშვნელობა აქვს სამატჩო შეხვედრების გამოცდილებას. პეტროსიანს კი ასეთი გამოცდილება ჭარბად აქვს, მაშინ რიგა ფიშერს იგი არ გააჩნია. და მაინც ეფიქრობ, რომ სპასკის ფიშერი შეხვდება.

მ. ბოგიჩოვი: საზონათაშორისო ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო პორტიშის მარცხი და ჰიუბნერის წარმატება.

ალექსანდრე კოტოვი: ეს ტურნირი ალბათ ბევრ პრეტენდენტებზე. ვიტყვი მხოლოდ იმ მატჩზე, რომელიც ფიშერმა გარკვეულ გარემოებაში შეიძლება ითამაშოს პეტროსიანთან. ჩემი აზრით, ფიშერი იქნება პირველი, პეტროსიანი კი მეორე. მაგრამ ცოტა ეჭვიც მეპარება, რამდენადაც ასეთ შეჯიბრებებში დიდი მნიშვნელობა აქვს სამატჩო შეხვედრების გამოცდილებას. პეტროსიანს კი ასეთი გამოცდილება ჭარბად აქვს, მაშინ რიგა ფიშერს იგი არ გააჩნია. და მაინც ეფიქრობ, რომ სპასკის ფიშერი შეხვდება.

ბ. ბოგიჩოვი: ეს ტურნირი ალბათ ბევრ ბრძოლა ექნება. ეს ეხება ორივ ფინალისტს. ეს ეხება ორივ ფინალისტს. ეს ეხება ორივ ფინალისტს